



მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 20 მარტი, 2013 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ალექსანდა კალატოზიშვილი - სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი (თანაკოორდინატორი)
2. ნათია აბრამია - ჯანმრთელი სამყარო (თანაკოორდინატორი)
3. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
4. ნაირა ბეპიევი - „კავკასიური მოზაიკა“
5. მარინა სოლომონიშვილი - საერთაშორისო ფონდი „ლეა“
6. ინეზა გაგნიძე - ასოციაცია ევროპული კვლევების საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
7. თამარ ოვასაპიანი - ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაცია „ახლებური ხედვა“

განსახილველი საკითხები

1. ვორკშოპი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე
2. მე-4 სამუშაო ჯგუფის 2013 წლის სამოქმედო გეგმა
3. ინიციატივა კულტურის საკითხებზე მომუშავე ქვეჯგუფის შექმნის შესახებ

შეხვედრა გახსნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო მათთვის წინასწარ გაგზავნილი დღის წესრიგი. ჯგუფის წევრებმა პირველ საკითხად განიხილეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თემაზე ვორკშოპის ჩატარების საკითხი.

თანაკოორდინატორის ინფორმაციით, მიმდინარეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ექვსი ეროვნული პლატფორმის საერთო პროექტი, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და რომელშიც ჩართულია ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო. პროექტის მთავარი აპლიკანტი არის რეგიონალური გარემოს დაცვის ცენტრი მოლდოვა. მისი ხანგრძლივობა ორწელიწადნახევარია და ითვალისწინებს აქტივობებს როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონალურ დონეზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყნის მონაწილეობით.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მეოთხე სამუშაო ჯგუფზე მოდის სულ ორი აქტივობა. ერთ-ერთი ასეთი აქტივობა არის სწორედ ვორკშოპი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ პროექტით განსაზღვრული არ არის ვორკშოპის არც ხანგრძლივობა და არც თემატიკა. მოცემულია მხოლოდ ის, რომ ვორკშოპი მიზნად უნდა ისახავდეს პლატფორმის წევრთა შესაძლებლობების განვითარებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში. შესაბამისად, მთლიანად მეოთხე სამუშაო ჯგუფზე არის დამოკიდებული ვორკშოპის ფორმატის განსაზღვრა. ვორკშოპი უნდა ჩატარდეს დაახლოებით აპრილის შუა რიცხვებისთვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვორკშოპისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი ძალიან მწირია და შეადგენს მხოლოდ 1500 ევროს.

თანაკოორდინატორის თქმით, ვორკშოპის შესახებ ჯგუფში გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა მხოლოდ 7 ორგანიზაცია და გამოხატა ზოგადი ინტერესი მონაწილეობაზე. გამოითქვა რამდენიმე შენიშვნა, რაც არ არის საკმარისი ვორკშოპის პროგრამის განსაზღვრისათვის. თანაკოორდინატორის აზრით, საჭირო იქნება კონსულტაციის გავლა იმ ექსპერტებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე მუშაობენ. ამისათვის უნდა ჩატარდეს წინამოსამზადებელი შეხვედრა გაფართოებულ ფორმატში გამოცდილების გაზიარების მიზნით. ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში გამოთქვა მზადყოფნა ხელი შეუწყოს ჯგუფს ასეთი შეხვედრის ორგანიზებაში.

დამსწრეებმა იმსჯელეს ვორკშოპის თემატიკაზე, მის ფორმატზე და შეთანხმდნენ, რომ კარგი იქნება თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები და ფონდები. გადაწყდა, რომ ვორკშოპში მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციები კიდევ ერთხელ შეიკრიბებიან და დეტალურად გაივლიან ღონისძიებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

დამსწრეებმა იმსჯელეს ასევე ჯგუფის 2013 წლის სამოქმედო გეგმაზე. თანაკოორდინატორმა წევრებს გააცნო დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელიც წევრი ორგანიზაციების შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავდა. თანაკოორდინატორის აზრით, იმისათვის რომ გეგმა არ დარჩეს მხოლოდ ქაღალდზე, საჭიროა ჯგუფმა აქტიურად იმუშაოს დოკუმენტში გაწერილი აქტივობების განხორციელებაზე. ამასთანავე, გეგმის ჯეროვანი შესრულება ჯგუფის თითოეული წევრის პასუხისმგებლობაა. თანაკოორდინატორის თქმით, დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის დასამტკიცებლად, გეგმის სამუშაო ვერსია კიდევ ერთხელ დაიგზავნება ჯგუფში.

რაც შეეხება ინიციატივას კულტურის საკითხებზე მომუშავე ქვეჯგუფის შექმნის შესახებ, რადგანაც ჯგუფის შეხვედრას მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაციის წარმომადგენელი ესწრებოდა, გადაწყდა, რომ ამ საკითხზე მსჯელობა გაგრძელდება ელექტრონულად და გადაწყვეტილების მიღება მოხდება ხმათა უმრავლესობით.

ორსაათიანი განხილვის შემდეგ ქვეჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია